# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 348

„17" სექტემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, სამამულო ომის გმირების ქუჩასთან მდებარე სკვერისთვის დათო კრაწაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1.საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, სამამულო ომის გმირების ქუჩასთან მდებარე სკვერს მიენიჭოს პოეტი, მხატვარი დათო კრაწაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გახორციელება.

2.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე   [signature]   გიორგი ალიბეგაშვილი


X- 484,946.384
Y- 4,627,233.445
X- 484,964.383
Y- 4,627,220.920
დათო კრაწაშვილის სკვერი
X- 484,915.954
Y- 4,627,189.376
X- 484,934.694
Y- 4,627,177.779